დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

თამარ რემიშვილი-პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი;

წევრები:

მაკო ჯაოშვილი - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი;

იწგა ბოჭოიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2019)

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 218076542

სახე:

[x] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

[ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

[ ] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში მიმდინარე წლის 20 და 21 აგვისტოს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 12 აგვისტოს N 710 ბრძანების საფუძველზე.

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი ავტორიზებულია 2014 წლის 25 ნოემბრის N34 გადაწყვეტილებით 5 წლის ვადით, ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღია 2020 წლის 25 ნოემბერი. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის მიზანია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო-დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამების: „საოფისე საქმე“, „ღონისძიების ორგანიზება“, „რძის პროდუქტების წარმოება“ და „ბუღალტრული აღრიცხვა“ ავტორიზაციის სტადარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

ვიზიტი წარიმართა კომფორტულ ვითარებაში, ორი დღის განმავლობაში ჩამოყალიბდა კონსტრუქციული თანამშრომლობა ექსპერტებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს შორის.

ექსპერტების მიერ გადამოწმდა პროგრამების პირობები ავტორიზაციის სამივე სტანდარტის მიხედვით, მოხდა დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, ხელმძღვანელებთან გასაუბრება, ასევე, უნივერსიტეტის მატერიალური რესურსის შემოწმება, პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება წინასწარ შეთანხმებული ვიზიტის დღის წესრიგის მიხედვით. **(დანართი 1)**

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მატერიალური და ადამიანური რესურსის გადამოწმებით დგინდება, რომ უნივერსიტეტის მიერ დასამატებლად წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში, არ იქმნება უნივერსიტეტის მიერ აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების არაჯეროვნად განხორციელების რისკი და არ მოხდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევა.

დაწესებულება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს უნივერსიტეტის ორ სასწავლო კორპუსში (IV და V კორპუსი, მის.: აღმაშენებლის N124 და ბესიკის N2), რომლებიც მხოლოდ პროფესიული სწავლებისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოიყენება. საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო-დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამების: „საოფისე საქმე“, „ღონისძიების ორგანიზება“, „რძის პროდუქტების წარმოება“ და „ბუღალტრული აღრიცხვა“ განხორციელებაში ჩართულია მხოლოდ 3 აკადემიური პერსონალი, მათი სასწავლო დატვირთვის ანალიზისას დგინდება, რომ არ იქმნება შესაბამისი აკადემიური პროგრამების განხორციელების რისკი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	■	□
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	■	□
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	■	□
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	■	□
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	■	□
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	■	□
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური		**მუხლი 7**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რესურსი				
2.1	დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	■	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	■	☐
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	■	☐
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	■	☐
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	■	☐
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	■	☐
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	■	☐
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:			
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**	■	□
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**	■	□
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	■	□
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	■	□
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	■	□
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას; მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	■	□
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	■	□
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	■	□
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	■	☐
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი შეირჩევა კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	■	☐

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

დაწესებულება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს უნივერსიტეტის ორ სასწავლო კორპუსში (IV და V კორპუსი, მის.: აღმაშენებლის N124 და ბესიკის N2), რომლებიც მხოლოდ პროფესიული სწავლებისთვის გამოიყენება.

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზები არ დაფიქსირებულა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VI. რეკომენდაციების შეჯამება

1.1.

- რეკომენდირებულია გასწორდეს პროგრამებში/მოდულებში არსებული ტექნიკური ხასიათის უზუსტობები;
- რეკომენდირებულია პრაქტიკული კომპონენტის უზრუნველყოფისათვის გაფორმდეს ხელშეკრულებები, როგორც იმ ორგანიზაციებთან, ვისთანაც დაწესებულებას უკვე აქვს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, ასევე სხვა ორგანიზაციებთან, რომლებთანაც ითანამშრომლებს მომავალში, და ხელშეკრულებებში იქნება ინფორმაცია რომელი სწავლის შედეგების მიღწევა მოხდება პრაქტიკის ობიექტზე , რამდენი პროფესიული სტუდენტის მიღებას შეძლებს ორგანიზაცია ერთდროულად , რა ხანგრძლივობით და სხვა.
- რეკომენდირებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს სასწავლო პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების უტილიზაციის რეგულაცია.

1.2.

რეკომენდირებულია კატალოგში ასევე იყოს დაწესებულების ისტორია, აკადემიური კალენდარი, ინფორმაცია სტუდენტების მიღების შესახებ, უნივერსიტეტის პარტნიორი ორგანიზაციების ჩამონათვალი, უნივერსიტეტის ჩართულობა სხვადასხვა პროექტებში, სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებული ინფორმაცია და სხვა სარეკლამო ინფორმაცია .

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3.

რეკომენდირებულია ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში კომპიუტერების დამატება (მისამართ, ქ.გორი აღმაშენელის ქუჩა N124);

2.8.

რეკომენდირებულია უნივერსიტეტის ვებ-გვედზე განთავსებულმა სტრუქტურამ ნათლად ასახოს უნივერსიტეტის მართვის ორგანოებს და სტრუქტურულ ერთეულებს შორის კავშირი და სტრუქტურას დაემატოს პროფესიული განათლების ცენტრი.

2.9.

რეკომენდირებულია განვითარების გრძელვადიანი (შვიდწლიანი, 2018-2024) სტრატეგიული გეგმის მიზნებში, რომლებიც ეხება პერსონალს და სტუდენტურ სერვისებს, გაიწეროს პროფესიული მასწავლებლის განვითარების და პროფესიული სტუდენტების ხელშეწყობის ღონისძიებები.

3.1.

რეკომენდირებულია მოხდეს პროფესიული განათლების ცენტრის დებულებით გათვალისწინებული ხარისხის მართვის მენეჯერის შერჩევა სწავლის დაწყებამდე;

3.3.

პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან გაფორმებულ წინასწარ შეთანხმებაში რეკომენდირებულია ჩანდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის და/ან შესაბამისი მოდულის/მოდულების დასახელება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VII. დაწესებულების მისია

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მისიაა ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე ორიენტირებული, თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც თავიანთი ცხოვრების წესითა და წარმატებული საქმიანობით ხელს შეუწყობენ თანამედროვე საზოგადოების მაღალგანვითარებულ, სამართლებრივ, დემოკრატიულ, ზნეობრივ და მაღალი სამოქალაქო შეგნების მქონე საზოგადოებად გარდაქმნას.

მისიის განხორციელების მიზნით უნივერსიტეტი თავის საქმიანობას წარმართავს შემდეგი მიმართულებებით:

- უზრუნველყოფს ხელმისაწვდომ, მაღალი ხარისხის აკადემიურ (საბაკალავრო, სამაგისტრო) და პროფესიულ განათლებას, რომელიც შეესაბამება ქვეყნისა და რეგიონის ინტერესებს.
- უზრუნველყოფს უნივერსიტეტში სწავლისა და სწავლების, სამეცნიერო კვლევის, შემოქმედებითი და ადმინისტრაციული საქმიანობის ხელშემწყობი, უსაფრთხო და საიმედო გარემოს შექმნასა და განვითარებას;
- ხელს უწყობს სტუდენტთა, პროფესიულ სტუდენტთა, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, მასწავლებლებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების პიროვნული პოტენციალის რეალიზებასა და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარებას;
- ნერგავს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის (უწყვეტი განათლების) სისტემას საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზებითა და განხორციელებით;
- მხარს უჭერს და განამტკიცებს სტუდენტების, პროფესიული სტუდენტების, თანამშრომლების, ფაკულტეტებისა და ადმინისტრაციული მმართველობის სტრუქტურების ინიციატივას უნივერსიტეტის ერთობლივი მართვის კუთხით;
- ავითარებს პარტნიორულ ურთიერთობებს ქვეყნისა და უცხოეთის მოწინავე საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, ხელს უწყობს სტუდენტთა, პროფესიულ სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის მიზნებიდან გამომდინარე ექსპერტების მიერ გადამოწმებული იქნა სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში დაწესებულება) მიერ წარმოდგენილი ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი 4 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (მოდულური): **„საოფისე საქმე“, „ღონისძიების ორგანიზება“, „რძის პროდუქტების წარმოება“ და „ბუღალტრული აღრიცხვა“.**

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ძირითად საგანმანათლებლო ერთეულს-სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტს-წარმომადგენლობითი საბჭოს 24.06.2019 გადაწყვეტილებით N7-16 გამოეყო პროფესიული საგანმანათლებლო მიმართულება და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით შეიქმნა სსიპ გორის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო უნივერსიტეტის **პროფესიული განათლების ცენტრი.** პროფესიული განათლების ცენტრში სასწავლო პროცესი 2019 წლის პირველი ივლისიდან მიმდინარეობს სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 24.06.2019 N7-16 გადაწყვეტილებით დამტკიცებული პროფესიული განათლების ცენტრის დებულების შესაბამისად.
დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის შემუშავების, მასში ცვლილების შეტანის და დამტკიცების პროცედურა, რომელიც გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, წესი დამტკიცებულია 12.07.2019 სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს N6-29 დადგენილებით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესის შესაბამისად დამტკიცებულია პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი ორგანოს- აკადემიური საბჭოს მიერ.

ექსპერტების შეფასებით დაწესებულების მიერ დაცულია პროგრამის დამტკიცებისთვის დადგენილი პროცედურა;

საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები; პროგრამებს აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, ახლავს სასწავლო გეგმები, მოდულები, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის და მატერიალური რესურსის ჩამონათვალი,ასევე მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან. თითოეულ პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად,პროგრამები და მოდულები გადამუშავებულია/ადაპტირებულია.
ექსპერტების მიერ შემოწმდა სასწავლო გეგმები, მოდულების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის შესაბამის მოდულებში განსაზღვრული წინაპრობები და სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით.
პროგრამების განხორციელებისთვის დაწესებულებას აქვს არგუმენტირებული საფუძველი, რომელიც ექსპერტების მიერ გასაუბრებით შემოწმდა ვიზიტის პერიოდში. პროგრამის ხელმძღვანელებმა და განმახორციელებელმა პერსონალმა გასაუბრების დროს დამატებით მოიყვანეს სხვა მტკიცებულებებიც, რაც კიდევ უფრო აძლიერებს პროგრამების განხორციელების საჭიროებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამების დეტალური შესწავლის შედეგად ექსპერტებმა გამოავლინეს შემდეგი გარემოებები:

1. „საოფისე საქმე“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საოფისე საქმე“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „საოფისე საქმისა და ღონისძიების ორგანიზება / Office Work and Event Managment“ საფუძველზე. სარეგისტრაციო ნომერი 04119-პ.

პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 59 კრედიტი, არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 89 კრედიტი.

პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 40 კვირა, არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 60 კვირა.

პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა- 20 სტუდენტი.

დაწესებულებას პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის უზრუნველყოფისათვის ურთიერთთანამაშრომლობის მემორანდუმები აქვს გაფორმებული შემდეგ დაწესებულებებთან:

1. გორის მუნიციპალიტეტის მერია
2. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო
3. სსიპ ქ. გორის №4 საჯარო სკოლა

2.„ღონისძიების ორგანიზება“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ღონისძიების ორგანიზება“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „საოფისე საქმისა და ღონისძიების ორგანიზება / Office Work and Event Managment“ საფუძველზე. სარეგისტრაციო ნომერი 04119-პ.

პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 61 კრედიტი, არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 91კრედიტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 40 კვირა, არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 60 კვირა.
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა- 10 სტუდენტი.
დაწესებულებას პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის უზრუნველყოფისათვის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები აქვს გაფორმებული შემდეგ დაწესებულებებთან:

1. გორის მუნიციპალიტეტის მერია
2. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო
3. ბავშვთა და მოზარდთა გასართობი ცენტრი „ ცისარტყელა“
4. შპს „ბავშვთა სამყარო“

პროგრამაში დაფიქსირდა შემდეგი სახის ტექნიკური უზუსტობა:
პროგრამის მიზანი მოცემულია პროგრამის მე-4-ე პუნქტში, მიზანი სტილისტურად გაუმართავია: "საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ღონისძიების ორგანიზატორს, რომელიც საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში გეგმავს, კოორდინირებასა და ორგანიზებას უწევს ყველა სახის ღონისძიების მომზადებასა და გამართვას.“ პროგრამის მე-7-ე პუნქტში არასწორად წერია "პროგრამის მიზანი“ , ნაცვლად „პროგრამის სტრუქტურა და მოდულები“-სა;

3. „რძის პროდუქტების წარმოება“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „რძის პროდუქტების წარმოება“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „სასურსათო პროდუქტების წარმოება / Food Production“ საფუძველზე. სარეგისტრაციო ნომერი 09112-პ.
პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 85 კრედიტი, არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 115 კრედიტი.
პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 55 კვირა, არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 75 კვირა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა- 10 სტუდენტი.

დაწესებულებას პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის უზრუნველყოფისათვის ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული შემდეგ დაწესებულებებთან:

1. შ.პ.ს ,,სანტე ჯი ემ თი პროდუქტები'';
2. ი/მ [redacted] რძის გადამამუშავებელი საწარმო;
3. შ.პ.ს ,, ფიფქია" ნაყინის საწარმო;

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 28-ე მუხლის მიხედვით, რომელიც ეხება სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაციას, საკითხის გადაწყვეტის პასუხისმგებლობას აკისრებს მოდულის განმახორციელებელს და ამ პროცესის განხორციელებაში შესაძლებლად მიიჩნევს პროფესიული სტუდენტის მონაწილეობას.

ექსპერტთა ჯგუფი დადებითად აფასებს დაწესებულების პასუხისმგებლობას ამ მიმართულებით. მაგრამ, ვინაიდან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „რძის პროდუქტების წარმოება" მოიცავს მოდულებს (ქიმია, ლაბორატორიული სამუშაოები რძის დამუშავებისას და ა.შ.), რომელთა შესწავლისას გამოიყენება ქიმიური რეაქტივები, მიიჩნევს, რომ მხოლოდ მოდულის განმახორციელებელი ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტას.

პროგრამაში დაფიქსირდა შემდეგი სახის ტექნიკური უზუსტობა:

პროგრამის მე-7-ე პუნქტის მესამე ნაწილში ჩანაწერია - არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის „პროგრამის მოცულობა შეადგენს 89 კრედიტს" , რაც არ შეესაბამება პროგრამის მოცულობას არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის(115 კრედიტი);

4. „ბუღალტრული აღრიცხვა".

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„ბუღალტრული აღრიცხვა - Accounting“ საფუძველზე. სარეგისტრაციო ნომერი - 04114-პ.

პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 99 კრედიტი, არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 129 კრედიტი.
პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 66 კვირა, არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 86 კვირა.
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა- 20 სტუდენტი.
დაწესებულებას პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის უზრუნველყოფისათვის ურთიერთთანამაშრომლობის მემორანდუმები აქვს გაფორმებული შემდეგ დაწესებულებებთან:

1. გორის მუნიციპალიტეტის მერია;
2. შ.პ.ს „გითანა“;
3. შ.პ.ს „გორელი“;
4. სსიპ ქ.გორის №2 საჯარო სკოლა;
5. სსიპ ქ.გორის №4 საჯარო სკოლა;
6. სსიპ ქ.გორის №10 საჯარო სკოლა;

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ოთხივე პროგრამაში ქართული ენის მოდულების გამოქვეყნების თარიღი ნაცვლად 07.03.2016, 02.11.17, მითითებულია 07.03.2016. პროგრამებში ჩადებულია ქართული ენის მოდულების ძველი ვერსიები, დაწესებულებამ მიიღო ამის შესახებინფორმაცია და აუცილებლად მოხდება ახალი ვერსიებით ჩანაცვლება. ექსპერტებმა ვიზიტის დროს შეადარეს პროგრამებში არსებული ქართული ენის მოდულების სწავლის შედეგები სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 02.11.2017 ბრძანებით N 695 დამტკიცებულ ქართული ენის მოდულების სწავლის შედეგების, შედეგებს შორის განსხვავება არ არის.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა შემდეგ კომპანიებში:

- ი/მ [redacted] რძის გადამამუშავებელი საწარმო,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- გორის მუნიციპალიტეტის მერია,
- შპს „ბავშვთა სამყარო“,
- შ.პ.ს „გითანა“.

ყველა ორგანიზცია, სადაც ექსპერტებმა განახორციელეს ვიზიტი, აღჭურვილია საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსით. ექსპერტები გაესაუბრნენ კომპანიების წარმომადგენლებს, მათთან გასაუბრებით ექსპერტებმა დაადგინეს, რომ ისინი გამოთქვამენ მზაობას გაუწიონ შესაბამისი მომსახურება პროფესიულ სტუდენტების იმ რაოდენობას, რაც განსაზღვრულია დაწესებულების მიერ თითოეული პროგრამისთვის;

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;
- პროფესიული განათლების ცენტრის დებულებით;
- დაწესებულების წესდებით;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- საწარმოსთან და ორგანიზაციებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით;
- ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით;
- ორგანიზაციების წარმომადგენლებთან გასაუბრებით, რომლებთანაც დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი;
- ფაქტობრივი გარემოებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რეკომენდირებულია გასწორდეს პროგრამებში/მოდულებში არსებული ტექნიკური ხასიათის უზუსტობები;
რეკომენდირებულია პრაქტიკული კომპონენტის უზრუნველყოფისათვის გაფორმდეს ხელშეკრულებები, როგორც იმ ორგანიზაციებთან, ვისთანაც დაწესებულებას უკვე აქვს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, ასევე სხვა ორგანიზაციებთან, რომლებთანაც ითანამშრომლებს მომავალში, და ხელშეკრულებებში იქნება ინფორმაცია თუ რომელი სწავლის შედეგების მიღწევა მოხდება პრაქტიკის ობიექტზე , რამდენი პროფესიული სტუდენტის მიღებას შეძლებს ორგანიზაცია ერთდროულად , რა ხანგრძლივობით და სხვა.
რეკომენდირებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს სასწავლო პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების უტილიზაციის რეგულაცია.

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: დაწესებულებას შემუშავებული აქვს და ვებგვერდზეა ატვირთული საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი) და ანონსი წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ, სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, პროგრამების მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაციების, პროგრამაზე დაშვების წინაპირობების, საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებში გამოსახული მოცულობის, თვეებში გამოსახული სწავლის ხანგრძლივობისა და პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასების წესის შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების ვებგვერდით http://www.gu.edu.ge/ge/studies/profesiuli-ganatlebis-centri;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდირებულია კატალოგში ასევე იყოს დაწესებულების ისტორია, აკადემიური კალენდარი, ინფორმაცია სტუდენტების მიღების შესახებ, უნივერსიტეტის პარტნიორი ორგანიზაციების ჩამონათვალი, უნივერსიტეტის ჩართულობა სხვადასხვა პროექტებში, სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებული ინფორმაცია და სხვა სარეკლამო ინფორმაცია .

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: შესაბამისობის დადგენის მიზნით დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები ექსპერტთა ჯგუფმა შეადარა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის ჩარჩო დოკუმენტებს.

ექსპერტების შეფასებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ჩარჩო დოკუმენტებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები, რომელიც გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში.

ვიზიტის დროს გადამოწმდა სტატუსის მინიჭება პროფესიული სტუდენტებისთვის ხდება თუ არა დაწესებულების რეგულაციისა და სრული კანონმდებლობის დაცვით. ასევე გადამოწმდა სტატუსშეჩრებული და სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები და ემისის ბაზა.

ექსპერტთა შეფასებით სტატუსის მინიჭება,შეჩერება და შეწყვეტა პროფესიული სტუდენტებისთვის ხდება დაწესებულების რეგულაციისა და კანონმდებლობის სრული დაცვით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეებით;
- საინფორმაციო ბაზით evet.emis.ge

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში- პროფესიული სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები საქართველოს სხვადასხვა დაწესებულებებთან, ეს დაწესებულებებია:

- სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღა“;
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში დაწესებულება სტუდენტებთან შეთანხმების გზით უზრუნველყოფს მის გადაყვანას ამავე დაწესებულების სხვა პროგრამაზე, ხოლო თუკი ეს ვერ ხერხდება მობილობისთვის დადგენილ წესებთან შეუსაბამობის გამო, დაწესებულება სტუდენტს შესთავაზებს გადაყვანას იმ პროფესიულ საგანმანთლებლო დაწესებულებაში, რომელთანაც გაფორმებული აქვს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

ექსპერტთა მიერ გადამოწმდა და დადგინდა, რომ აღნიშნული დაწესებულებები ახორციელებენ იმ პროგრამებით სწავლებას, რომლის განხორციელებაც სურს დაწესებულებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „რძის პროდუქტების წარმოება“ ჯერ არ ხორციელდება საქართვეოლოს სხვა საგანმანთლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებაში, თუმცა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-11-ე მუხლის ბ) პუნქტის თანახმად „ უნივერსიტეტი სთავაზობს პროფესიულ სტუდენტს შეცვილი ან გაუქმებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შესაძლებლობით უზრუნველყოფას. „

პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი უახლოეს მომავალში გეგმავს განახორციელოს ზემოთაღნიშნული პროგრამა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესით;
- მემორანდუმებით ურთიერთთანამშრომლობის შესახებ;
- დაწესებულების წარმომადგენელთან და პროგრამის ხელმძღვანეებთან გასაუბრებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას აქვს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი (აკადემიური საბჭოს დადგენილება N 09-112, 14.08.2014), რომელიც მოიცავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების წესს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის კომპონენტების საშუალებით, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით, სისტემატურად ახორციელებს: საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის და პერსონალის პროფესიული განვითარების შეფასებას. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მოქმედებს დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე ციკლის შესაბამისად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში არსებული ხარვეზების აღმოფხვრისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ყოველწლირად ხდება პროფესიული პროგრამების განხორციელების შეფასება. შეფასების პირველ ეტაპზე მიმდინარეობს სასწავლო კურსების შეფასება სათანადო ფორმის შესაბამისად, რომელიც მოიცავს, როგორც გამოვლენილი ნაკლოვანებების შესახებ ინფორმაციას, ისე რეკომენდაციებს სასწავლო კურსის განხორციელების განვითარების შესახებ. პროგრამის შეფასების მეორე - შემაჯამებელ ეტაპზე, უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით შექმნილი კომისია, საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმის შესაბამისად, ადგენს სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობის შეფასებას. შეფასების ფორმა მოიცავს რეკომენდაციებს პროგრამის განვითარების შესახებ. კომისია შედეგებს წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს, რომელიც აღნიშნულ შედეგებს, თავის მხრივ, აცნობს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს, დაინტერესებული მხარეებისა ინფორმირებულობისა და შემუშავებულ რეკომენდაციებზე რეაგირების მიზნით.

ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო პროფესიული სტუდენტების მიერ შევსებულ კითხვარებს,უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დადგენილ სტანდარტებთან შეფასების მიზნით, რექტორის ბრძანებით შექმნილი კომისიის ანგარიშებს განხორციელებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით.

იმის გათვალისწინებით, რომ უნივერსიტეტში შეიქმნა პროფესიული განათლების ცენტრი, რომელიც კოორდინაციას უწევს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას, დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტთა ჯგუფს, წარმოუდგინეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ახალ რეალობას და მოიცავს:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო კურსების შეფასების ფორმას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების თვითშეფასების ანგარიშს და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით N 09-112, 14.08.2014;
- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამების დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების კომისიის ანგარიშები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემის პროექტით;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუირებით.
- პროფესიული სტუდენტების მიერ შევსებული კითხვარებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი მდებარეობს ქალაქ გორში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება მისამართებზე:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქ.გორი აღმაშენებლის ქუჩა N124 და ბესიკის ქუჩა N2 . საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობების მესაკუთრეა სახელმწიფო, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამებს.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	ქ.გორი, ბესიკის ქუჩა N2	2596.00
2	ქ.გორი, აღმაშენებლის ქუჩა N124	860.00

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ამონაწერებით საჯარო რეესტრიდან : [redacted]
- აზომვითი ნახაზებით.
- ფაქტობრივი გარემოებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებაში არსებობს სათანადო ინვენტარით აღჭურვილი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი A/B და C გარემო (პროგრამებისთვის "რძის პროდუტების წარმოება" და "ღონისძიების ორგანიზება').
წარმოდგენილი პროგრამებისთვის დაწესებულებაში არის ინტეგრირებული A და B ტიპის 4 სასწავლო გარემო, სადაც შესაძლებელია ჯამში, ერთ ცვლაში 60 სტუდენტის განთავსება, რაც შესაბამისობაშია დაწესებულების მიერ შემუშავებულ პროფესიულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგიასთან.
სასწავლო ფართი აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით:კომპიუტერებით (სულ 64) პროექტორებით, პრინტერებით, ყურსასმენებით და სხვა. სათანადო ინვენტარის ჩამონათვალი იხილეთ ქვემოთ პროგრამების მიხედვით:

ბუღალტრული აღრიცხვა
21 კომპიუტერი, 1 პროექტორი, 1 პრინტერი, ხმის გამაძლიერებელი, 21 მაგიდა და სკამი;

საოფისე საქმე
21 კომპიუტერი, 1 პროექტორი, 1 პრინტერი, ხმის გამაძლიერებელი, 21 მაგიდა და სკამი;

რძის პროდუქტების წარმოება
11 კომპიუტერი, 1 პროექტორი, 1 პრინტერი, ხმის გამაძლიერებელი, 11 მაგიდა და სკამი;

დაწესებულებაში C გარემო - ლაბორატორია აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და ასევე უზრუნველყოფილია პრაქტიკის ობიექტით, რომელთანაც დაწესებულებას გაფორმაბული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი; ექსპერტთა შეფასებით C გარემოში არსებული ინვენტარი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

ღონისძიების ორგანიზება
11 კომპიუტერი, 1 პროექტორი, 1 პრინტერი, დინამიკები,11 მაგიდა და სკამი;

C გარემოს პროგრამისთვის წარმოადგენს პრაქტიკის ობიექტებს, რომელთანაც დაწესებულებას გაფორმაბული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი; ექსპერტთა შეფასებით C გარემოში არსებული ინვენტარი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექპერტთა შეფასებით, წარმოდგენილი ოთხივე პროგრამისთვის დაწესებულებაში და საწარმოებში არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი შეესაბამება დაწესებულების მიერ მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრულ რაოდენობას და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ფაქტობრივი გარემოებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;
- შესყიდვის დოკუმენტაციით;
- ინვენტარიზაციის დოკუმენტაციით;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგიით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების ორივე სასწავლო კორპუსში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო - ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კომუნალური ხარჯებისთვის გადახდილი ქვითრებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შესყიდვის დოკუმენტაციით;
- ვიზუალური დათვალიერებით.
- ფაქტობრივი გარემოებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უნივერსიტეტის სხვადასხვა სასწავლო კორპუსში მოწყობილია სამკითხველო დარბაზები და წიგნსაცავები, მათ შორის იმ კორპუსებშიც, სადაც დაგეგმილია წარმოდგენილი პროფესიული პროგრამების განხორციელება. სამკითხველო დარბაზებში განთავსებულია კომიუტერები (3 კომპიუტერი და 1 ნოუთბუქი) და უზრუნველყოფილია ინტერნეტის მუდმივი მიწოდება, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;

დაწესებულებას ემსახურება შესაბამისი კვალიფიკაციის და გამოცდილების მქონე ბიბლიოთეკარი. წიგნები გატარებულია საინვენტარო წიგნში დადგენილი წესის შესაბამისად.

უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულია ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი (OPAC) , სადაც ასახულია სახელმძღვანელოების ნაწილი, რომელიც საჭიროა წარმოდგენილი პროგრამებისთვის. ბიბლიოთეკართან გასაუბრებით ექსპერტებმა დაადგინეს, რომ სწავლის დაწყებამდე ყველა სახელმძღვანელო, რომელიც მატერიალური სახით არის პროფესიული განათლების ცენტრის ბიბლიოთეკაში დაემატება ელექტრონულ კატალოგს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სწავლის დაწყებამდე ხდება თითოეული პროფესიული სტუდენტისთვის სასწავლო მასალის დაბეჭდვა და მიწოდება.

ექსპერტთა მიერ შერჩევით გადამოწმდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსი, მათი შეფასებით დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების მოდულებში მითითებულ ლიტერატურას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნებით;
- ბიბლიოთეკის ბეჭდური და ელექტრონული კატალოგებით;
- დაწესებულების ვებ-გვერდით;
- წიგნადი ფონდის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცით;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით;
- ბიბლიოთეკართან გასაუბრებით;
- http://biblio.gu.edu.ge/opac/index.php

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდირებულია სამკითხველო დარბაზში კომპიუტერების დამატება (მისამართ, ქ.გორი აღმაშენებლის ქუჩა N124);

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში. დაწესებულების პერსონალისთვის გამოყოფილია 15 კომპიუტერი, 2 ტელეფონი, 1 ფაქსის აპარატი, პროფესიული სტუდენტებისათვის გამოყოფილია 97 კომპიუტერი; დაწესებულებას საკუთრებაში გააჩნია 7 პრინტერი და 15 პროექტორი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ფაქტობრივი მდგომარეობით;
- სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით;
- სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასალებისა და ინვენტარის ინვენტარიზაციის ბარათებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საქმისწარმოების ერთიანი წესი. წესი განსაზღვრავს უნივერსიტეტის საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს.ეს წესი სავალდებულოა შესასრულებლად უნივერსიტეტის ყველა თანამშრომლისათვის.

უნივერსიტეტის კანცელარია უზრუნველყოფს:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ა) უნივერსიტეტში შემოსული ან/და ადგილზე შექმნილი დოკუმენტების აღრიცხვას და საინფორმაციო ბაზის ფორმირებას, დოკუმენტის საჯარო რეესტრში დაფიქსირებას;

ბ) დოკუმენტების გადაცემას ხელმძღვანელობისათვის და შემსრულებლებისათვის;

გ) დოკუმენტების შესრულებაზე კონტროლს და ხელმძღვანელობისათვის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მომზადებას;

დ) დოკუმენტებზე მუშაობის ტექნიკური უზრუნველყოფას;

ე) გასული დოკუმენტების დაგზავნას;

ვ) დოკუმენტების მომზადების ვადებისა და გაფორმების წესის დაცვის კონტროლს;

ზ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურულ და დამხმარე სტუქტურულ ერთეულებში საქმისწარმოების მონიტორინგს;

თ) საქმისწარმოების საკითხებზე ტრეინინგების ორგანიზებას;

ი) შესრულებული დოკუმენტის ჩამოწერას და საქმეში მოთავსებას. საქმისწარმოებით დასრულებული დოკუმენტების საქმეებად ფორმირებას.

კ) საქმეთა მომზადებას არქივში ჩასაბარებლად;

ლ) საქმისწარმოებით დამთავრებული საქმეების არქივში მიღებას, აღრიცხვას და დაცვას.

მ) დადგენილი წესის მიხედვით, არქივიდან ცნობების, ამონაწერების და სხვა დოკუმენტების გაცემას.

ნ) საქმეთა ნომენკლატურის შედგენას;

კანცელარია ახორციელებს უნივერსიტეტში საქმისწარმოების ერთიანი სისტემის ორგანიზაციას, ადმინისტრაციის სტუქტურულ და დამხმარე სტუქტურულ ერთეულებში დოკუმენტებზე მუშაობის წესის დაცვის ზედამხედველობას, მეთოდურ და ტექნიკურ მომსახურებას, თანამშრომელთა ტრეინინგებს, დოკუმენტების ავტომატიზებულ დამუშავებას, რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებებისა და დავალებების შესრულების კონტროლს, არქივიდან ინფორმაციის გაცემას (არქივის მუშაობაზე კონტროლს).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებაში ფუნქციონირებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა eflow-ს შესაბამისად.

პროფესიული განათლების ცენტრში დასაქმებული სტუდენტთა საქმისმწარმოებელი აწარმოებს პროფესიულ სტუდენტთა შესახებ გაცემული ცნობების რეგისტრაციას .

ექსპერტთა შეფასებით დაწესებულებაში გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა მიმდინარეობს საქმისწარმოების ერთიანი წესის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საქმისწარმოების ერთიანი წესით;
- პროფესიულ სტუდენტთა შესახებ გაცემული ცნობების რეგისტრაციის ჟურნალით;
- გასაუბრებით სტუდენტთა საქმისმწარმოებელთან;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შრომის დაცვის და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების დაცვის ზოგადი ინსტრუქციები გაწერილია დაწესებულების შინაგანაწესში.

დაწესებულების ორივე სასწავლო კორპუსი აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით, ცეცხლმაქრები დამუხტულია. ექსპერტებმა ვიზიტის დროს შეამოწმეს ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი. ცეცხლმაქრის მოქმედების ვადა განსაზღვრულია 2017 წლით, თუმცა დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათ აქვთ ინფორმაცია კომპეტენტური პირებისგან იმის შესახებ, რომ ცეცლმაქრები დამუხტულია და მასში არსებული ფხვნილი ვარგისია/აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

ორივე სასწავლო კორპუსში თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული ევაკუაციის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია კომპეტენტური ორგანოს მიერ;

დაწესებულებაში არის სამედიცინო პუნქტი და გაფორმებულია ხელშეკრულება მედდასთან, სამედიცინო პუნქტი აღჭურვილია მედიკამენტებით და პირველი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისთვის საჭირო მატერიალური რესურსით. ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ მედდას და გადაამოწმეს მედიკამენტების ვადები, ყველა მათგანი ვადიანია.

წესრიგის დაცვისათვის გაფორმებულია ხელშეკრულება კომენდანტთან და დაცვის თანამშრომლებთან;

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების შინაგანაწესით;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით;
- ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის მექანიზმებით;
- დამტკიცებული საევაკუაციო გეგმით;
- ხანძარსაწინააღმდეგო და სამედიცინო ინვენტარის, ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- წესრიგის დამცველებთან და სამედიცინო პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულებებით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- ფაქტობრივი გარემოებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ორივე სასწავლო კურპუსში. პირველ სართულზე შესვლა შესაძლებელია პანდუსით, პირველ სართულზეა განლაგებული სველი წერტილები, (მათ შორის ადაპტირებული სველი წერტილები) ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზი, ადმინისტრაციისთვის გამოყოფილი ოთახები და სხვა. ვიზიტის დროს დაწესებულებამ ექსპერტებს წარმოუდგინა შრომითი ხელშეკრულება, რომელიც გაფორმებული აქვს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთან.

ექსპერტთა შეფასებით დაწესებულების ორივე სასწავლო კორპუსის პირველი სართული, სადაც განხორციელდება ოთხივე წარმოდგენილი პროგრამა,სრულად ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ფაქტობრივი გარემოებით;
- დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით;

შეფასება:

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
□ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულების ვებ-გვერდი http://www.gu.edu.ge და http://www.gu.edu.ge/ge/studies/profesiuli-ganatlebis-centri ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია დაწესებულების მისია, დაწესებულების სტრუქტურა, დაწესებულების შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები, ინფორმაცია პროფესიული განათლების ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, კატალოგი, სამოქმედო გეგმა, ანონსი პროფესიული პროგრამების შესახებ, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, პროფესიული განათლების ცენტრის დებულება, ინფორმაცია პროფესიული განათლების ცენტრის პერსონალის შესახებ, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი ფოტო-გალერეა, საკონტაქტო ინფორმაცია და სხვა.
ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად. ვებგვერდი ასევე იძლევა უკუკავშირის შესაძლებლობას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების ვებ-გვერდით;
- დომენის და ჰოსტინგის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდირებულია უნივერსიტეტის ვებ-გვედზე განთავსებულმა სტრუქტურამ ნათლად ასახოს უნივერსიტეტის მართვის ორგანოებს და სტრუქტურულ ერთეულებს შორის კავშირი და სტრუქტურას დაემატოს პროფესიული განათლების ცენტრი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებას შემუშავებული აქვს განვითარების გრძელვადიანი (შვიდწლიანი, 2018-2024) სტრატეგიული გეგმა და პროფესიული განათლების ცენტრის ერთწლიანი (2019-2020) სამოქმედო გეგმა, რომელთა მიზნებიც და ძირითადი მიმართულებები გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან. უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა შემუშავდა დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობით. სტრატეგიული გეგმა მოიცავს: უნივერსიტეტის მისიას და ხედვას, ინფორმაციას სასწავლო უნივერსიტეტის შესახებ, უნივერსიტეტის შეფასებას - SWOT ანალიზს; უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზნებს და ამ მიზნების მიღწევის ძირითად ამოცანებს. შვიდწლიანი გეგმა მოიცავს შემდეგ ძირითად მიზნებს: ინსტიტუციური განვითარება; საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება; პერსონალი; სტუდენტები და სტუდენტური სერვისები; კვლევა, განვითარება და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა; ფინანსური, მატერიალური და ინფორმაციული რესურსები. ინსტიტუციური განვითარებისა და საგანმანათლებლო პროგრამების მიზნის მიღწევის ძირითადი ამოცანები მოიცავს პროფესიული განათლების მიმართულებებს. სტრატეგიულ მიზნებში, რომლებიც ეხება პერსონალს და სტუდენტურ სერვისებს არ არის დასახული ამოცანები, რომლებიც მათ განვითარებაზე იქნება ორიენტირებული.
დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, უნივერსიტეტი მუშაობს სტრატეგიული გეგმის ახალ პროექტზე და ამ საკითხებს გაითვალისწინებენ.

პროფესიული განათლების ცენტრის ერთწლიანი (2019-2020) სამოქმედო გეგმა მოიცავს შემდეგ ძირითად ღონისძიებებს: მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფის, წიგნადი ფონდის განახლების, დაინტერესებული მხარეების გამოკითხვების ორგანიზების, არსებული პროფესიული პროგრამების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განვითარების, ახალი პროფესიული პროგრამების შემუშავების, სასერტიფიკატო კურსების შემუშავება-დანერგვის, პროფესიული მასწავლებლების გადამზადების, პროფესიული სტუდენტებისათვის კულტურული, სპორტული, გასართობი და შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებათა ორგანიზებას.

დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტთა ჯგუფს წარმოუდგინეს უნივერსიტეტს 2018-2019 წწ. სამოქმედო გეგმა და ამ გეგმის შესრულების ანგარიში. 2018-19 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს ცენტრის ხელმძღვანელი წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს. ანგარიში მოიცავს 2018 წლის სექტემბრიდან 2019 წლის აგვისტოს ჩათვლით საანგარიშო პერიოდს. მასში მოცემულია ინფორმაცია ამოცანების, შესრულების ინდიკატორების, შესრულების მდგომარეობის და თითოეული ამოცანის შესრულებისთვის პასუხისმგებელი პირების შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმით (2018-2024 წწ), დამტკიცებული აკადემიური საბჭოს მიერ, (აკადემიური საბჭოს დადგენილება N09-33, 28.05.2018); http://gu.edu.ge/ge/about/universitetis-strategiuli-gegma
- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა; http://gu.edu.ge/uploads/other/10/10299.pdf
- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის ერთწლიანი 2018-2019 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდირებულია განვითარების გრძელვადიანი (შვიდწლიანი, 2018-2024) სტრატეგიული გეგმის მიზნებში, რომლებიც ეხება პერსონალს და სტუდენტურ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სერვისებს, გაიწეროს პროფესიული მასწავლებლის განვითარების და პროფესიული სტუდენტების ხელშეწყობის ღონისძიებები.

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია პროფესიული განათლების ცენტრის დებულებით და სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით: სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების და დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესის, შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების დამტკიცების შესახებ. (წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება N 09-30 23.01.2014). დაწესებულების პროფესიული განათლების ცენტრს 17 საშტატო ერთეულზე ემსახურება 25 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.
სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული განათლების ცენტრის დებულებით;
- საშტატო განრიგით;
- პერსონალის პირადი საქმეებით;
- თანამშრომელთა სამსახურეობრივი ინსტრუქციებით;
- თანამდებობების საკვალიფიკაციო მოთხოვნებით;
- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დაწესებულების ვებგვერდით;
- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების და დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესის, შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების დამტკიცების შესახებ. (წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება N 09-30 23.01.2014).

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდირებულია მოხდეს პროფესიული განათლების ცენტრის დებულებით გათვალისწინებული ხარისხის მართვის მენეჯერის შერჩევა სწავლის დაწყებამდე;

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
პროფესიული განათლების მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია დაწესებულების მიერ შემუშავებულ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-9-ე თავში. ვიზიტის დროს ექსპერტებმა შეისწავლეს განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები, მათი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები.
ექსპერტთა შეფასებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაწესებულების მიერ დადგენილ მოთხოვნებს.

ქვემოთ წარმოდგენილია დაწესებულების განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა პროგრამების მიხედვით:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ბუღალტრული აღრიცხვა - 9;
- საოფისე საქმე-13;
- რძის პროდუქტების წარმოება-10;
- ღონისძიების ორგანიზება-11;

ვიზიტის დროს დაწესებულებას ჰყავდა 131 აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასწავლო პროგრამის მარეგულირებელი წესით;
- პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეებით;
- პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრებით;
- საინფორმაციო ბაზით evet.emis.ge.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული მასწავლებლის შერჩევის პროცედურა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტის პერიოდში გაეცნო პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებულ წინარე „შეთანხმებას“. წარმოდგენილი დოკუმენტით მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:(იხილეთ ქვემოთ ციტირება „შეთანხმებიდან“)

1. „დამსაქმებლის მიერ ჩარჩოდოკუმენტის საფუძველზე შექმნილი და დასაქმებულის კვალიფიკაციის შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და სათანადო ვაკანტური საათების არსებობის შემთხვევაში, მხარეები ყოველი საგაზაფხულო/საშემოდგომო მიღების დაწყებამდე გააფორმებენ შრომით ხელშეკრულებას შესაბამისი პროფესიული პროგრამით განსაზღვრული მოდულის ხანგრძლივობის ვადით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. შრომითი ხელშეკრულებით დაკავებული თანამდებობიდან გამომდინარე დასაქმებული წარმართავს სასწავლო პროცესს მარეგულირებელი დოკუმენტაციის შესაბამისად.
3. დასაქმებულის შრომითი ანაზღაურება განსაზღვრული იქნება საათობრივი წესით ან/და დამსაქმებელთან ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე;
4. დამსაქმებელი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე:
    a) უზრუნველყოფს დასაქმებულს შრომის ადექვატური პირობებით;
    b) ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობითა და პირობებით უზრუნველყოფს დასაქმებულის შრომის ანაზღაურებას;
    c) მუდმივად იზრუნებს სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე;“

ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების იურისტს, ასევე ნახეს შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც გაფორმებულია სხვა პროგრამების განმახორციელებელ პერსონალთან. შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია „საქართველოს შრომის კოდექსით“დადგენილი წესით;

ექსპერტთა შეფასებით პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- განმახორციელებელ პერსონალთან გაფორმებული შეთანხმებით და შრომითი ხელშეკრულებებით;
- დოკუმენტაციით, სადაც დაწესებულების მიერ დადგენილია განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის პირობები;
- დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან გაფორმებულ წინასწარ შეთანხმებაში რეკომენდირებულია ჩანდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის და/ან შესაბამისი მოდულის/მოდულების დასახელება.

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

ექსპერტთა შეფასებით მოთხოვნილი პროგრამებისთვის სტუდენტების ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება ჯამში 60-ით.

ა) გთხოვთ, ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეიტანოთ ინფორმაცია პროგრამების შესახებ, საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით.

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის / სწავლის დეტალური სფეროს კოდის მითითებით)	კოდიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კოდიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	... ფაქტობრივი რაოდენობა (მისაბმელების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	ბუღალტრული აღრიცხვა (მოდულური)	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში 0411	99	129	ქართული	ქ.გორი, აღმაშენებლის ქ.N124	0	20

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2	საოფისე საქმე (მოდულური)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში 0415	59	89	ქართული	ქ.გორი, აღმაშენებლის ქ.N124	0	20
3	რძის პროდუქტების წარმოება (მოდულური)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასურსათო პროდუქტების წარმოებაში 0721	85	115	ქართული	ქ.გორი, ბესიკის ქ.N2	0	10
4	ღონისძიების ორგანიზება (მოდულური)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ღონისძიების ორგანიზებაში 0413	61	91	ქართული	ქ.გორი, ბესიკის ქ.N2	0	10

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი (გადმოგზავნილია დასკვნის პროექტთან ერთად)

03.09.2019

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: